24/04/2026

MES 5 26 0000474971

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 07.04.2026
სხდომის დაწყების დრო: 14:00
სხდომის დასრულების დრო: 16:00
სხდომის თავმჯდომარე: ლევან შავაძე
საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ლევან შავაძე**- სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ქეთევან აფთარაშვილი**- შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ვაჟა კელიხაშვილი**- ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი - საბჭოს მდივანი;
4. **ვლადიმერ ადეიშვილი**- სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
5. **ციური დურული**- სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
6. **ქეთევან ნანობაშვილი**- შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;

7. **დავით კაპანაძე**- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი;
8. **მზია წიკლაური**- შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასოცირებული პროფესორი;
9. **ირინა ლობჟანიძე**- სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და ლიტერატურის მიმართულებით პროფესორი;
10. **ნარგული ასანიძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.
11. **ნათია იორდანიშვილი** - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ-ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე;
12. **თეა მჭედლური** - შპს ,,უნივერსიტეტი ალტერბრიჯის" ხარისხის სამსახურის კონსულტანტი;
13. **მაქსიმ იავიჩი** - შპს კავკასიის უნივერისტეტის პროფესორი, კიბერუსაფრთხოების ცენტრის ხელმძღვანელი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ნინო სარჯველაძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მთავარი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
ნიკოლოზ ყაველაშვილი - პროფესორი; ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანი
ნინო ჟვანია - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
გიორგი ხიშტოვანი- პროფესორი
ნინო პატარაია- პროფესორი
თამარ მაღალაშვილი - ასოცირებული პროფესორი
თამარ ჯინჭველაძე - ასოცირებული პროფესორი
სოფიო ლებანიძე - ასოცირებული პროფესორი
მაია ბიწაძე- ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
მარიამ კიკნაველიძე - ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი
ანა თოფურია - ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი
მარიამ გიორგობიანი - ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი

შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ
ელისო ელისაშვილი-უნივერსიტეტის რექტორი
მარიამ დარბაიძე-ვიცე რექტორი ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით.

აკრედიტაციის ექსპერტები:
ეკა გეგეშიძე (I, II, III, IV, V, VI, VIII საკითხები)

ეკა დევიძე (IX საკითხი)
რუსუდან სეთურიძე (IX საკითხი)
ანა ქეშელაშვილი (X საკითხი)

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გაცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „მენეჯმენტის (ძირითადი სპეციალობა)“ (240 კრედიტიანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
2. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „მენეჯმენტის (ძირითადი სპეციალობა)” (ინგლისურენოვანი, 240 კრედიტიანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „მენეჯმენტის (ძირითადი სპეციალობა)” (180 კრედიტიანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „მენეჯმენტის (ძირითადი სპეციალობა)“ (ინგლისურენოვანი, 180 კრედიტიანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
7. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების” (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
8. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების” სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
9. შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუს "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგი შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენა);
10. შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუს "ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენა);

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- **არა**

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „მენეჯმენტის (ძირითადი სპეციალობა)“ (240 კრედიტიანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;

2. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „მენეჯმენტის (ძირითადი სპეციალობა)” (ინგლისურენოვანი, 240 კრედიტიანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „მენეჯმენტის (ძირითადი სპეციალობა)” (180 კრედიტიანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „მენეჯმენტის (ძირითადი სპეციალობა)“ (ინგლისურენოვანი, 180 კრედიტიანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
7. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების” (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
8. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების” სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
9. შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუს "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგი შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენა);
10. შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუს "ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენა);

საკითხის ერთგვაროვნებიდან გამომდინარე საბჭოს თავმჯდომარემ დააყენა შუამდგომლობა პირველი 8 საკითხი განეხილათ ერთად, სხდომაზე დამსწრე ყველა წევრმა განაცხადა თანხმობა

პირველი საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „მენეჯმენტის (ძირითადი სპეციალობა)" (240 კრედიტიანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
საგანმანათლებლოპროგრამისდასახელება: მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა)
საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელიკვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში
დეტალურისფეროსდასახელებადაკოდი: 0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრაცია
სწავლებისენა: ქართული
კრედიტებისრაოდენობა: 240
სტატუსი: აკრედიტებული

მეორე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „მენეჯმენტის (ძირითადი სპეციალობა)” (ინგლისურენოვანი, 240 კრედიტიანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
საგანმანათლებლოპროგრამისდასახელება: მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა)

საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელიკვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში
დეტალურისფეროსდასახელებადაკოდი: 0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრაცია
სწავლებისენა: ინგლისური
კრედიტებისრაოდენობა: 240
სტატუსი: აკრედიტებული

მესამე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „მენეჯმენტის (ძირითადი სპეციალობა)" (180 კრედიტიანი) საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
საგანმანათლებლოპროგრამისდასახელება: მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა)
საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელიკვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში
დეტალურისფეროსდასახელებადაკოდი: 0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება
სწავლებისენა: ქართული
კრედიტებისრაოდენობა: 180
სტატუსი: აკრედიტებული

მეოთხე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „მენეჯმენტის (ძირითადი სპეციალობა)" (ინგლისურენოვანი, 180 კრედიტიანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა
საგანმანათლებლოპროგრამისდასახელება: მენეჯმენტი
საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელიკვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში
დეტალურისფეროსდასახელებადაკოდი: 0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება
სწავლებისენა: ინგლისური
კრედიტებისრაოდენობა: 180
სტატუსი: აკრედიტებული

მეხუთე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა
საგანმანათლებლოპროგრამისდასახელება: მენეჯმენტი
საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელიკვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მენეჯმენტში
დეტალურისფეროსდასახელებადაკოდი: 0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება
სწავლებისენა: ქართული
კრედიტებისრაოდენობა: 120
სტატუსი: აკრედიტებული

მეექვსე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა
საგანმანათლებლოპროგრამისდასახელება: ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი
საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელიკვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ჯანდაცვის მენეჯმენტში
დეტალურისფეროსდასახელებადაკოდი: 0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება

სწავლებისენა: ქართული
კრედიტებისრაოდენობა: 120
სტატუსი: აკრედიტებული

მეშვიდე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა
საგანმანათლებლოპროგრამისდასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება
საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელიკვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
დეტალურისფეროსდასახელებადაკოდი: 0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება
სწავლებისენა: ინგლისური
კრედიტებისრაოდენობა: 120
სტატუსი: აკრედიტებული

მერვე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა
საგანმანათლებლოპროგრამისდასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება
საფეხური: დოქტორანტურა
მისანიჭებელიკვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
დეტალურისფეროსდასახელებადაკოდი: 0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება
სწავლებისენა: ქართული
კრედიტებისრაოდენობა: 30
სტატუსი: აკრედიტებული

საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა ირინა ლობჟანიძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.
საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.
წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე და მერვე საკითხების ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
აკრედიტაციის ექსპრტმა, ეკა გეგეშიძემ აღნიშნა, რომ კლასტერის რვა პროგრამიდან შვიდში რეკომენდაციები სრულად შესრულდა. სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციისას ექსპერტებს ძირითადი რეკომენდაციები ჰქონდათ პროგრამის სტრუქტურასთან დაკავშირებით. პროგრამის სასწავლო კომპონენტში მოცემულია სასწავლო პრაქტიკა, ასევე რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის არჩევითი კურსები (ხდება ერთ-ერთის არჩევა). სტანდარტის შედეგია

პედაგოგის მიღება, ხოლო სადოქტორო საფეხურზე ტრენინგებით ამ საკითხების დაფარვა რამდენად შესაძლებელია უნდა გადაწყვიტოს საბჭომ. პროგრამის სტრუქტურის მსგავსი ფორმა გავრცელებულია დასავლეთში, თუმცა ქართული კანონმდებლობით რამდენად არის დაშვებული/შესაძლებელი, ეს საკითხი საჭიროებს დისკუსიას. მისი თქმით, რეკომენდაციები არ არის სრულად შესრულებული და საჭიროებს შემდგომ მუშაობას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნინო ჟვანიამ აღნიშნა, რომ ასეთი შინაარსის დასკვნა მოულოდნელი იყო უნივერსიტეტისთვის, რადგან რეკომენდაციების შესრულების შესახებ დასკვნაში გამოიკვეთა ახალი გარემოებები, რომლებიც არ იყო განხილული თავდაპირველი აკრედიტაციის პროცესში. მან აღნიშნა, რომ ბუნდოვანი ხდება თუ რას გულისხმობდა ექსპერტი აკრედიტაციისას გაცემულ რეკომენდაციებში მაშინ, როცა სხვა ახალი გარემოებები გამოკვეთა რეკომენდაციების ანგარიშის შეფასებისას, რაც ცუდი ექსპერტული შეფასებაა. 1.4 კომპონენტში გაცემულ „რეკომენდებულია კურსების დამატება, რომლებიც მოიცავს სწავლებისა და შეფასების მეთოდებს უმაღლეს განათლებაში;“ რეკომენდაციასთან დაკავშირებით მან დაამატა, რომ გადაიხედა პროგრამის სტრუქტურა, საერთაშორისო გამოცდილება. უნივერსიტეტი დიდი ხანია ახორციელებს „cotutelle”-ებს, მათ შორის, ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტოროს ფარგლებში. უნივერსიტეტს აქვს საერთაშორისო სადოქტორო სკოლა, რომელიც უშუალოდ ემსახურება საერთასორისო „Double Degree” და „Cotutelle”-ების გაფორმებას და ხელშეწყობას. მათ დიდი გამოცდილება აქვთ დაგროვებული საერთაშორისო მიდგომებისა და სტანდარტების მიხედვით სადოქტორო პროგრამების დიზაინისა და სწავლების მიმართულებით. შესაბამისად, სადოქტორო საფეხურზე სხვადასხვა ტრანსფერული უნარების, მათ შორის, სწავლების უნარის გასავითარებლად, მიზანშეწონილად ჩაითვალა ვორქშოპებისა და ტრენინგების ჩატარება. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აკადემიურ სადოქტორო პროგრამაში შეუძლებელია ყველა ტრანსფერული უნარის განვითარება. უნივერსიტეტში სტუდენტები მოდიან გავლილი აქტივობების (ტრენინგები და ა.შ) ჩამონათვალით. საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, ვორქშოპების, ტრენინგების და მოკლე შეხვედრების გავლა ითვლება სადოქტორო საფეხურზე ტრანსფერული უნარების განვითარების ერთ-ერთ კომპონენტად. ეს არ არის ახალი პრაქტიკა. უნივერსიტეტი არსებული რესურსით და საერთაშორისო უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით ახორციელებს სწავლებისა და შეფასების მოკლე ტრენინგებს. ეს კომპონენტები სხვა აკრედიტებულ პროგრამებშიც არის ინტეგრირებული და ამასთან დაკავშირებით კითხვა არ დასმულა, ამიტომ, ეს შესაძლებლობა გამოყენებულ იქნა და გაძლიერდა სწავლებისა და შეფასების მეთოდების სწავლება. ამასთანავე, სტუდენტები ახორციელებენ ასისტირებას, რაც უზრუნველყოფს ამ უნარის სრულფასოვან განვითარებას. ჩარჩოს 1.2 კომპონენტში ჩამოთვლილია ყველა ის ტრანსფერული უნარი, კომპეტენცია, რომელიც შეიძლება განვითარდეს სადოქტორო პროგრამაზე, რომელთა განვითარებაც შეუძლებელია თუკი სადოქტორო პროგრამაზე ისწავლება მხოლოდ აკადემიური ხანგრძლივობის კურსები, რომელშიც მიენიჭება კრედიტები. დაწესებულებამ არ გაიზიარა შეფასებაა და მოითხოვა ახალი გარემოების ამოღება, რომელიც ითხოვს ასისტირების 18 ECTS კრედიტების შემცირებასა და სხვა კომპონენტებზე გადანაწილებას, რაც სააკრედიტაციო დასკვნაში არ იყო ასახული.

სადოქტორო პროგრამის თანახელმძღვანელმა, გიორგი ხიშტოვანმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს გაწეული სამუშაოსთვის. შემდეგ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, „რეკომენდებულია უზრუნველყოფილ იქნას, რომ დოქტორანტებს ჰქონდეთ და გადიოდნენ კურსებს, რომლებიც მოიცავს როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ კვლევის მეთოდებს“, მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა ეს რეკომენდაცია გაითვალისწინა. კვლევითი ბლოკი გაიზარდა და შეადგენს 12 კრედიტს (6 კრედიტი თვისობრივი მონაცემების ანალიზი, in vivo (სავალდებულო) და შემდეგ დაემატა სავალდებულო-არჩევითი 6 კრედიტი, რომელშიც

შესაძლებელია რაოდენობრივ მონაცემებთან დაკავშირებული 2 კურსის არჩევა). პანელური მონაცემების ანალიზი “EViews”-ში და დროითი მწკრივების ანალიზი “EViews”-ში. გაიზარდა კვლევითი კომპონენტი, რაოდენობრივი მეთოდების ორი კურსიდან დოქტორანტმა უნდა აირჩიოს ერთ-ერთი. რეკომენდაცია გათვალისწინებულია, თუმცა როგორც ჩანს, ტექნიკური შეცდომის გამო გაუგებრობას ჰქონდა ადგილი. დოქტორანტს შესაძლებლობა ექნება აირჩიოს ის კურსი რაოდენობრივ მეთოდებში, რომელიც უფრო გამოადგება მას თავისი ნაშრომის შესრულებისას. „რეკომენდებულია სადოქტორო პროგრამის ფარგლებში ისეთი სავალდებულო აქტივობების შემოღება, სადაც დოქტორანტებს მოეთხოვებათ თავიანთი კვლევის წარდგენა და კვლევაზე უკუკავშირის მიღება“ - რეკომენდაციასთან დაკავშირებით, პროგრამის თანახელმძღვანელმა, ნინო პატარიამ აღნიშნა, რომ დოქტორანტს ეძლევა არაერთი შესაძლებლობა მოისმინოს უკუკავშირი. პროგრამის სავალდებულო კომპონენტია კოლოქვიუმები, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია გარე ექსპერტების მოწვევა. სტუდენტები სემესტრში ერთხელ მაინც წარადგენენ პროგრესის ანგარიშს და უკუკავშირს იღებენ არამარტო ხელმძღვანელისგან, არამედ სხვა პროფესორებისგანაც. მან აღნიშნა, რომ სტუდენტებს პროგრამა ვერ დაავალდებულებს პარალელურად სხვა კვლევების ჩატარებას, მაგრამ არის ასისტირების კომპონენტი, რომელიც იყოფა ორ ნაწილად: სწავლებაში ასისტირება, თემის ხელმძღვანელების კომპონენტში ასისტირება და ასევე, ხელმძღვანელმა თავის მიმდინარე კვლევაში შეიძლება ჩართოს დოქტორანტი და დოქტორანტს განუვითარდება დამატებითი კვლევითი უნარები. ბევრი სხვადასხვა პლატფორმაა, სადაც დოქტორანტებს შეუძლიათ უკუკავშირის მიღება. მაგალითად, სხვა მიმართულების დოქტორანტები უსმენენ პრეზენტაციებს და უბრუნებენ მათ უკუკავშირს სადოქტორო თემასთან ან ნებისმიერ სხვა კვლევით უნართან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ წინა აკრედიტაციის გავლის დროს, სწავლების მეთოდებთან მიმართებით არსებობდა 6 კრედიტიანი სავალდებულო კურსი. პერიოდულად ხდება პროგრამის შეფასება. სტუდენტების, რომელთა დიდ ნაწილს აქვს სწავლების დიდი გამოცდილება, უკუკავშირი გათვალისწინებულ იქნა და სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით პროგრამა სთავაზობს არაერთ სასერტიფიკაციო კურსს. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ახორციელებს 15-მდე „დუალურ“ სადოქტორო პროგრამას და მათში სავალდებულო სასერტიფიკაციო კურსების არსებობა წარმოადგენს მაღალ დამკვიდრებულ დასავლურ სტანდარტს. პროგრამის შემუშავებასა და გადამუშავებაში ჩართულები არიან გარე ექსპერტები, პროგრამას აქვს საერთაშორისო მრჩეველთა საბჭო, რომელთა მოსაზრებას პროგრამა მუდმივად ითვალისწინებს. მათი რეკომენდაცია იყო რომ შესაძლებელი იყოს სასერტიფიკაციო კურსის გავლისას სტუდენტებს მიენიჭოთ კრედიტები. აკრედიტაციის ექსპერტის მიერ გაცემული შემდეგი რეკომენდაციის შესახებ - „რეკომენდებულია სადოქტორო პროგრამის ფარგლებში ისეთი სავალდებულო აქტივობების შემოღება, სადაც დოქტორანტებს მოეთხოვებათ თავიანთი კვლევის წარდგენა და კვლევაზე უკუკავშირის მიღება“, ნინო ჟვანიამ აღნიშნა, რომ ექსპერტმა დასკვნაში დაამატა ახალი გარემოებები, რომ დოქტორანტი სხვა კვლევებსაც უნდა ახორციელებდეს - „რეკომენდებულია სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დისერტაციის კომპონენტისგან დამოუკიდებლად სავალდებულო კვლევითი აქტივობების სისტემური დანერგვა, რათა კურსდამთავრებულს განუვითარდეს კვლევითი კომპეტენცია ბიზნესის ადმინისტრირების დარგში ფართო გაგებით და არა მხოლოდ ვიწრო სპეციალიზაციის ფარგლებში.“ დასკვნაში გამოჩნდა ახალი ასპექტი, რომელიც განხილული არ იყო არც ვიზიტზე და არც საბჭოზე. შესაბამისად, ეს რეკომენდაცია სცდება თავდაპირველად გაცემულ რეკომენდაციას და ხაზი გაესვა ახალ გარემოებას.

პროგრამის თანახელმძღვანელმა, ნიკოლოზ ყაველაშვილმა დაამატა, რომ ექსპერტის რეკომენდაციები იყო საინტერესო და პროგრამის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ შეუძლებელი იყო იმ რეკომენდაციის შესრულება, რომელიც შემდგომში გაიცა.

ეკა გეგეშიძემ განმარტა, რომ პროგრამის აკრედიტაციისას თავად იყო ექსპერტი და განსახილველი რეკომენდაციაც მან გასცა დასკვნაში განმარტებული მოტივით, თუმცა, შესაძლოა თარგმნის პროცესში დაშვებული შეცდომით ან ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ ჩასწორების გზით შეიცვალა მისი ფორმულირება და დაკარგა აზრი. მან მიმართა საბჭოს თხოვნით, რომ გაითვალისწინონ გარემოება, რათა ამ მიზეზით უნივერსიტეტი არ იყო ინფორმირებული და არ შეეძლო რეკომენდაციის გათვალისწინება.
რაც შეეხება სხვა რეკომენდაციებს, თუ კვლევის მეთოდების 12 კრედიტი გათვალისწინებულია, მაშინ პროგრამა გამოდის არა 30 კრედიტიანი, არამედ 36-იანი. თუ ეს ტექნიკური შეცდომაა და პროგრამა ნამდვილად 30 კრედიტიანია, მაშინ რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდების დამატება რის ხარჯზე ხდება? ინსტიტუცია მუშაობს ამ საკითხზე, თუმცა გადაწყდა ამ რეკომენდაციის გაცემა და შემდგომში საკითხის განხილვა. შესამოწმებელია სასერტიფიკაციო ტრენინგები სადოქტორო კვლევით დონეზე გადის თუ არა და ამაზე უნდა იმსჯელოს საბჭომ. ნინო პატარაიამ დაამატა, რომ სასერტიფიკაციო კურსები შემუშავებულია მხოლოდ დოქტორანტებისთვისა და მკვლევრებისთვის, განსაზღვრულია მხოლოდ სადოქტორო საფეხურისთვის. ექსპერტმა, ეკა გეგეშიძემ უპასუხა, რომ დონის შესაბამისობის შეფასება ამ შემთხვევაში შეუძლებელია.
ნინო ჟვანიამ აღნიშნა, რომ ანგარიშთან ერთად ექსპერტს გაეგზავნა 36 კრედიტიანი კურიკულუმი, ანუ შეიცვალა კრედიტების ჯამური მოცულობის გაზრდის ხარჯზე. ტრანსფერული უნარების ნაწილში სადოქტორო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი განსაზღვრავს ბევრ სხვადასხვა კომპეტენციას და ასევე მითითებულია „და სხვა“, რაც ნიშნავს, რომ არ არის შეზღუდული. ჩამონათვალშია ისეთი კომპეტენციები როგორიცაა „კარიერის განვითარების დაგეგმვა“. წარმოუდგენელია კარიერის დაგეგმვის უნარი არსებობდეს მაგისტრატურის ან დოქტორანტურის დონის. სადოქტორო პროგრამაში სწავლების უნარის (ტრანსფერული უნარის) განსავითარებლად მიზანშეწონილად ჩაითვალა ტრენინგ კურსების დანერგვა, თუმცა სწავლების უნარის განვითარება მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება. ძირითადი აქცენტი კეთდება ასისტირების კომპონენტზე და სწორედ ამიტომ აქვს ასისტირებას 18 კრედიტი მინიჭებული. მნიშვნელოვანია დოქტორანტი მეორე სემესტრიდან ავითარებდეს ამ უნარს და გახდეს აკადემიური სფეროს კვალიფიციური კადრი. პროგრამაში ტრანსფერული უნარები ვითარდება სადოქტორო დონის შესაბამის დონეზე და საპირისპირო მოსაზრება მიუღებელია. თუმცა, ასისტირების დაწყებამდე სტუდენტმა აუცილებლად უნდა გაიაროს ტრენინგ-მოდული თანამედროვე სწავლების მეთოდებთან და შეფასებასთან დაკავშირებით. მიდგომები, მეთოდები, სტრატეგიები სწრაფად იცვლება და უფრო სწორია, როცა სტუდენტს აქვს შესაძლებლობა აირჩიოს ტრენინგ-მოდულები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ციური დურულმა კითხვით მიმართა უნივერსიტეტს. მას აინტერესებდა, სასწავლო გეგმაში („პროგრამის კატალოგი“) ჩამოთვლილ პროგრამის კურსებში ტრენინგები კურიკულუმის გარეთ არის თუ არა მოქცეული.
ნინო ჟვანიამ უპასუხა, რომ ტრენინგები კურიკულუმში შედის და ეს არის საერთაშორისო გამოცდილება, მათ შორის, არ ეწინააღმდეგება ქართულ კანონმდებლობას. მაგალითად, დოქტორანტები ტრენინგებით სწავლობენ მონაცემთა ანალიზის ახალ, თანამედროვე ინსტრუმენტებს. სტუდენტებს მუდმივად აქვთ შესაძლებლობა გაიარონ სხვადასხვა 1-2 დღიანი ტრენინგები, ვორქშოფები და ბუთქემფები. მაგალითად, იელის უნივერსიტეტიდან ატარებენ მონაცემთა დამუშავების კონკრეტულ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით ტრენინგებს. ტრენინგ-მოდულებით სწავლებას პროგრამა განიხილავს მხოლოდ ტრანსფერული უნარების ჭრილში და არა დარგობრივი ცოდნის, ხოლო სწავლებისა და შეფასების კომპონენტისთვის პროგრამაში გამოყოფილია 18 კრედიტი.
ციური დურულმა იკითხა, თუ ტრენინგები სასწავლო კომპონენტს მიეკუთვნება, ხომ უნდა ენიჭებოდეს მათ კრედიტები ქართული კანონმდებლობის მიხედვით.

ნინო ჟვანიამ უპასუხა, რომ კრედიტების მინიჭება რეგულირდება მინისტრის N3 ბრძანებით. ყველა ის კომპონენტი, რომელიც არის სასწავლო და ემსახურება კომპეტენციების განვითარებას, გათვლილია კრედიტებში. ისევე როგორც კოლოქვიუმი არის სავალდებულო კომპონენტი, თუმცა კრედიტებში არ იზომება, ისევე ტრანსფერული უნარების ტრენინგ მოდულები აუცილებლად უნდა გაიაროს სტუდენტმა. გადაწყდა, რომ ეს იყოს სავალდებულო კომპონენტი და ასევე წინაპირობა ასისტირებისთვის. ეს ჩაითვალა ყველაზე ეფექტურ გზად სამ წელიწადში დოქტორანტის მოსამზადებლად. მხოლოდ გაანგარიშებული კრედიტებით სამ წელიწადში ვერ მოხერხდება ყველა კომპეტენციის მიღწევა. ტრენინგ-მოდულებში სტუდენტთა შეფასებაც ხდება და 18 კრედიტიანი ასისტირების ფარგლებში ხდება დამტკიცება, რომ დოქტორანტი გახდება კონკურენტუნარიანი აკადემიურ სივრცეში. მაგალითისთვის, უნივერსიტეტში შეიქმნა ტრენინგ-კურსი კვლევის ეთიკისა და მონაცემთა მენეჯმენტის შესახებ. მონაცემთა მენეჯმენტი მოიცავს მათ შორის ბაზების გამოქვეყნებას, მართვას და ა.შ. ამ პროგრამის ფარგლებში ეს კურსი გახდა სავალდებულო, რათა ყველა სტუდენტმა იცოდეს კვლევის კეთილსინდისიერების პრინციპები. შემდეგ, კი შეუძლებელი ხდება კვლევის ეთიკაზე კიდე შეიქმნას 3-კრედიტიანი, 6-კრედიტიანი ან 9-კრედიტიანი კურსი. კვლევის ეთიკის ნაწილი პროგრამაში იფარება სხვადასხვა კურსებით, თუმცა ეს არის თვალსაჩინო მაგალითი, როგორ უნდა გამოიყენო ტრენინგ-კურსი უნარების დასაფარად. ის არის სავალდებულო კომპონენტი, მაგრამ არ ენიჭება კრედიტი.

საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა დააზუსტა, რომ კანონის მიხედვით არ უნდა ფასდებოდეს კვლევითი ნაწილი, რასაც წარმოადგენს კოლოქვიუმი, თუმცა საუბარი იყო სასწავლო კომპონენტებზე. მან იკითხა, როგორ ფასდება უნივერსიტეტის მხრიდან სტუდენტი ტრენინგ მოდულში.

ნინო ჟვანიამ უპასუხა, რომ კოლოქვიუმი არ არის სასწავლო კომპონენტი და ამის დამტკიცება არც უნდოდა. უბრალოდ ეს არის მაგალითი, რომ პროგრამის კომპონენტს არ ენიჭება კრედიტები. თითოეულ მოდულში განსაზღვრულია შეფასების სისტემა, სადაც განსაზღვრულია რა შემთხვევაში ჩაითვლება ტრენინგ მოდული გავლილად, რაც აღწერილია სილაბუსში. აღნიშნული იტვირთება დოქტორანტების ანგარიშებში. ტრენინგების შეფასება ხდება, არ ხდება კრედიტების მინიჭება. შეფასება ნაირგვარია ტრენინგის მოცულობის მიხედვით: 1-დღიანი ტრენინგის შეფასება სხვა არის, 1-კვირიანის შეფასება სხვა. ასევე გაწერილია სწავლის შედეგებიც.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:50
დასრულების დრო: 15:20

1. საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „მენეჯმენტის (ძირითადი სპეციალობა)“ (240 კრედიტიანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 12
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[6]-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „მენეჯმენტის (ძირითადი სპეციალობა)“ (240 კრედიტიანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნეს მიღებული.

2. საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „მენეჯმენტის (ძირითადი სპეციალობა)" (ინგლისურენოვანი, 240 კრედიტიანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 12
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[6]-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „მენეჯმენტის (ძირითადი სპეციალობა)" (ინგლისურენოვანი, 240 კრედიტიანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნეს მიღებული.

3. საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „მენეჯმენტის (ძირითადი სპეციალობა)" (180 კრედიტიანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 12
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[6]-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „მენეჯმენტის (ძირითადი სპეციალობა)" (180 კრედიტიანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნეს მიღებული.

4. საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „მენეჯმენტის (ძირითადი სპეციალობა)" (ინგლისურენოვანი, 180 კრედიტიანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 12
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[6]-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „მენეჯმენტის (ძირითადი სპეციალობა)" (ინგლისურენოვანი, 180 კრედიტიანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნეს მიღებული.

5. საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 12
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[6]-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნეს მიღებული.

6. საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 12
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[6]-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნეს მიღებული.

7. საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების” (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 12
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[6]-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების” (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნეს მიღებული.

8. საბჭოს წევრებმა იმსჯელეს და გადაწყვიტეს, რომ საგანმანათლებლო დაწესებულების აღნიშნულ პროგრამასთან მიმართებით, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტის მიერ დასკვნაში დაფიქსირებული ის რეკომენდაციები, რომელიც ექსპერტმა აღნიშნა შესასრულებლად. გარდა ამისა, ასევე 1.4 კომპონენტში დაემატოს შემდეგი რეკომენდაცია:
"რეკომენდებულია, კანონმდებლობის შესაბამისად კრედიტებში გამოიხატოს ყველა სასწავლო კომპონენტი, რათა შესაძლებელი გახდეს დოქტორანტის მიერ მიღებული ცოდნის აღიარება საჭიროების შემთხვევაში."
ასევე საბჭომ მიმართა დაწესებულებას, რომ მათ ეკისრებათ ვალდებულება ცენტრში არანაკლებ სამ წელიწადში ერთხელ წარმოსადგენ თვითშეფასების ანგარიშში ასახოს ექსპერტთა ჯგუფის დასკნაში ასახული და საბჭოს მიერ დამატებული რეკომენდაციების შესრულება.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 12
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[6]-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნეს მიღებული.

მეცხრე საკითხის ზეპირი მოსმენა: შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუს "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგი შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის დადგენა);

საგანმანათლებლოპროგრამისდასახელება: ტურიზმი
საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელიკვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში
დეტალურისფეროსდასახელებადაკოდი: 1015 - მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება
სწავლებისენა: ქართული
კრედიტებისრაოდენობა: 240
სტატუსი: აკრედიტებული

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.
საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.
წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეცხრე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
აკრედიტაციის ექსპერტმა, ეკა დევიძემ გააცნო დამსწრეებს შეფასების გარემოებები. აღნიშნა, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაცია და პროგრამა შესაბამისია ხუთივე სტანდარტის მოთხოვნებთან.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, მარიამ დარბაიძე დაეთანხმა ექსპერტის შეფასებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრებს არ დაუსვამთ დამატებითი შეკითხვები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:45

დასრულების დრო: 15:50

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუს "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანისა და კვალიფიკაციის კოდის ცვლილების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27[2] - ე მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუს "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება და მიჩნეულ იქნეს, რომ შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუს "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

მეათე საკითხი: შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუს "ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენა);

საგანმანათლებლოპროგრამისდასახელება: ჟურნალისტიკა

საფეხური: ბაკალავრიატი

მისანიჭებელიკვალიფიკაცია: სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი ჟურნალისტიკაში

დეტალურისფეროსდასახელებადაკოდი: 0321 - ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა

სწავლებისენა: ქართული ენა

კრედიტებისრაოდენობა: 240

სტატუსი: აკრედიტებული

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.
საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.
წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეათე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
აკრედიტაციის ექსპერტმა, ანა ქეშელაშვილმა დამსწრეებს გააცნო შეფასების გარემოებები. მისი შეფასებით, პროგრამა შესაბამისობაშია სამივე შეფასებულ სტანდარტთან.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენლებს არ დაუფიქსირებიათ მოსაზრება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს არ დაუსვამთ დამატებითი შეკითხვები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:50
დასრულების დრო: 15:57

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუს "ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანისა და კვალიფიკაციის კოდის ცვლილების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 13
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუს "ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

საბჭო დამატებით განმარტავს, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასებისა და საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით, განახლებული პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციაა "სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი ჟურნალისტიკაში". თუმცა, სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად, კვალიფიკაციის მინიჭება ამ ფორმით ვერ მოხდება.

შესაბამისად, საბჭო მიმართავს დაწესებულებას, 1 თვის განმავლობაში, ცენტრში წარმოდგინოს განახლებული პროგრამა, რომელშიც, მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაში იქნება სწავლის სფეროების კლასიფიკატორის ფორმირების წესთან.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის დასრულების შემდგომ, საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2026 წლის 07 აპრილის 16:00 სთ-ზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე